ისევ დამარცხება

თბილისი. ”ბურევესტნიკის” სტადიონი. 8 სექტემბერი.

მალის რესპუბლიკის ნაკრები - ”დინამო” (თბილისი) – 1:4 (0:4).

მალის რესპუბლიკის ნაკრები - ტურე (აბდულაი); ჯაკიტე, კორომაჯანი, ბუარე, ნასსი, ნდავი; ჯალო, დომბელე, ჯაორა, კეიტა, ბეკუ.

”დინამო” - კვასხვაძე (ყოჩიაშვილი); ზეინკლიშვილი, თორაძე, ხურცილავა; ბ. სიჭინავა, ხელაძე (პეტრიაშვილი); მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, მაისურაძე (იაშვილი), ვეკუა.

მსაჯი: ვ. სამოლაზოვი (როსტოვი).

ეს იყო მალის ახალგაზრდა რესპუბლიკის ნაკრების ტურნეს უკანასკნელი საერთაშორისო მატჩი ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელებთან. მანამდე მათ ითამაშეს მოსკოვის ”ლოკომოტივთან”, მინსკის ”ბელარუსთან”, ერევნის ”სპარტაკთან” და სამივე მატჩში დამარცხება განიცადეს, ამიტომაც სწორედ თბილისის დინამოელებთან სურდათ თუნდაც ერთგვარად აღედგინათ პრესტიჟი. მათ წისქვილზე წყალს ასხამდა დინამოელთა 6 წამყვანი მოთამაშის საკავშირო ნაკრებში ყოფნა, რაც სტუმრებს წარმატების ერთგვარ იმედს აძლევდა.

მაგრამ დასაწყისიდანვე აშკარა გახდა, რომ მალელთა სურვილი სურვილად დარჩებოდა, რადგან დინამოელები მოწინააღმდეგეს სჯობდნენ ყველა რგოლში, ადვილად ნახულობდნენ თავისუფალ ადგილებს მათი კარის მისასვლელებთან და მალელ მცველთა თავგამოდებული თამაშის მიუხედავად, ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს.

შეხვედრის პირველი ნახევრის უკვე 27-ე წუთზე ანგარიში იყო 4:0 თბილისელთა სასარგებლოდ (ორ-ორ გოლი გაიტანეს კალოევმა და ბარქაიამ).

თუ მატჩის პირველ ნახევარში სტუმრების სუსტი წინააღმდეგობის გამო მატჩმა მაყურებლებში დაკარგა სპორტული ინტერესი, შესვენების შემდეგ სურათი შეიცვალა. სტუმრებმა ისარგებლეს დინამოელთა მიერ ტემპის მოდუნებით, რამდენიმე მწვავე იერიში მიიტანეს მათ კარზე და თუ არა ზედმეტი ნერვიულობა, რასაც ერთვოდა ტექნიკური და ტაქტიკური ვარიანტების სისუსტე, შეეძლოთ არ დაკმაყოფილებულიყვნენ იმ ერთადერთი საპასუხო გოლით, რომელიც მეკარისა და მცველის შეუთანხმებელი თამაშის შედეგად მატჩის 55-ე წუთზე გაიტანა ნდავიმ.

10 სექტემბერი, 1961 წ.